№ 274

სამშაბათი, 22 დეკემბერი, 1898 წ.

1877—1898

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

# ივერია

№ 274

სამშაბათი 22 დეკემბერი, 1898 წ.

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21.

ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**

და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:**

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

**ბორჩალოს მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. გიორგი დიმიტრის ძე აფხაზი** შვილებითურთ გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ თავისის მეუღლის კნეინა

**ალექსანდრა პეტრეს ასულის აფხაზის**

გარდაცვალებას, 20 დეკემბერს, ღამის 11 საათზე. პანაშვიდი გარდახდილ იქმნება, დღეს, 22 დეკემბერს, ნაშუადღევის 1 საათზედ „დვორცოვის“ სასტუმროში, ერევნის მოედანზედ. პანაშვიდის შემდეგ განსვენებულის გვამს წაასვენებენ იოანე მახარობლის ტაძარში (ახალ-ყორღანოვის ქუჩა), სადაც გარდახდილი იქმნება პანაშვიდი საღამოს 7 საათზედ. 23 დეკემბერს წირვისა და პანაშვიდის შემდეგ მიცვალებულის გვამს დაასაფლავებენ ამავე ტაძრის გალავანში.

(2—193 1)

# დიდი იაფობა

იაპონიის, ჩინეთის და კავკასიის საუცხოვო და ორიგინალ საქონლისა.

**იყიდება:** უმშვენიერესი საჩუქრები **დღესასწაულებში მისართმევად, ოთახების მოსართავად,** სამწერლო მაგიდებისა, კუთხეებ ს და კედლების შესამკობად და სხვანი.

აქვე **ისყიდება მრავალგვარი აგრეშუმეულობა და ფანზა ჩინეთისა** (თეთრეულებისათვის).

**ისყიდება აგრეთვე შეკერილი ხალათები. ჯუბები და სხვა.**

დვორცოვი-მელიქოვის ქუჩა, ზუბალოვის სახლი, სემინარიის პირდაპირ,

## იოსებ მერკვილაძის მაღაზიაში.

(—ნ. – 6)

# ექიმი ი. ია. გოკიელოვი

მიიღებს სპეციალურად ვენერიულ (სიფილისი), საშარდეს, კანის და შინაგან სნეულობით ავადმყოფთ ყოველ დღე, დილით 9—12 საათ., საღამოთი 5—7 საათ.

კერძოდ შინაგან და კანით ავადმყოფებს შუადღის 12—1 საათამდე.

აქვე შეიძლება ქიმიურად და მიკროსკოპიულად განხილვა ნახველისა, შარდისა, სისხლის და გადამდების ავადმყოფობისა და სხვა.

განოვის ქუჩა, სახლი № 31, მარქაროვისა, სოლოლაკი. (20—185—10)

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ხავასარდიანი**, 11—12 საათ.

სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**გ. მ ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი.**—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

ი. თ. პრატასევიჩი—12—1 საათ. ყურის, ყელის, ცხვირის და გულის ავადმყოფ.

ა. ზ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. გ. გურგო. $1^1/_2$—$2^1/_4$ ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

გ. მ. მახვილაძე.—6—7 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

ა. ნ. შპაკოვსკი—6—7 საათ. ნერვების (ელექტროტერაპია), ვენერიული და კანის სნეულებ.

ბ. ა. ნავასარდიანი—$6^1/_2$—7 საათ.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардiана*.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

(წ)

POUR APPRENDRF LE FRANÇAIS, l'anglais, l'allemand et les langues anciennes le meillenr moyen est de passer quelque temps en pension chez le professeur Gustave Brocher á LA CLOCHETTE près de LAUSANNE. Progrès rapides certains, situation magnifique dans un lieu, recommandé par les medècins aux personnes faibles, prix moderés, nombreuses réferences en Russie, que le prof. Brocher a habité pendant quelques années.

(5—უ.—5)

## მთავრობის განკარგულებანი

გამწესებულ იქმნა ივანე კვლოშვილი ტფილისის სამაზრო საპოლიციო გამგეობის კანცელარიის მოხელედ.

გადაყვანილ იქმნენ მაზრის უფროსის თანაშემწენი. თიონეთისა თავადი ვაჩნაძე და ახალციხისა თავადი აფხაზი—ერთი მეორის ადგილზედ.

დანიშნულ იქმნა ტფილისის მე 7 ნაწილის ბოქაულის თანაშემწე, კაპიტანი ამბარდანოვი—იმავე ნაწილის ბოქაულად.

დათხოვნილ იქმნა თანამდებობიდგან თავისისავე თხოვნით ბორჩალოს მაზრის უფროსის უმცროსი თანაშემწე გოტჩინი.

# ახალი ამბავი

*** 19 დეკემბერს კავკასიის მთავარ-მართებლის გენერალ ადიუტანტის სასახლეში გამართულ იქმნა სადილი, რომელზედაც მიწვეულ იყვნენ სომეხ-გრიგორიანთა კათოლიკოსი მკრტიჩ ხრიმიანი და მთავარ-ეპისკოპოსი კევორკ სურენიანცი. სადილს დაესწრნენ აგრეთვე მთავარ-მართებლის კანცელარიის ვიცე დირექტორი ი. ი. სანდრიგაილო, მთავარ მართებლის საბჭოს წევრი ნ. ი. პრიბილი, გენერალ ლეიტენანტი გ. ა. სკალონი და სხვანი.

*** 20 დეკემბერს ტფილისის ვაჟთა პირველ გიმნაზიაში გამართულ იქმნა წლიური აქტი. ამ დღისათვის გიმნაზიის დარბაზი მშვენივრად იყო მორთული ყვავილებითა და ხვეულებით. აქტს დაესწრნენ მაღალ ყოვლად-უსამღვდელოესი საქართველოს ეგზარხოსი ფლაბიანე, ყოვლად სამღვდელო გორის ეპისკოპოსი ლეონიდი, სომეხ-გრიგორიანთა მთავარ ეპისკოპოსი კევორკ სურენიანცი, სემინარიის რექტორი არქიმანდრიტი გერმოგენი, კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი კ. პ. იანოვსკი, მიწად-მოქმედების მინისტრის რწმუნებული ი. ს. მედვედევი, მასწავლებელნი, მოსწავლენი და მრავალი ხალხი. აქტის შემდეგ საუკეთესო მოსწავლეებს საჩუქრები დაურიგეს. ქართველთაგან პირველი ხარისხის საჩუქრები მიიღეს: მესამე კლასის მოსწავლემ ვლადიმერ გაბაშვილმა, მე-4 კლასისა—ვახტანგ ხარაფიშვილმა და ილია სეხნიაშვილმა; მეორე ხარისხისა: მოსამზადებელ კლასის მოსწავლემ ნიკოლოოზ კობიაშვილმა და მეექვსე კლასის მოსწავლემ სიმონ გძელიშვილმა.

*** ანჩისხატის ტაძარში შეიკრიბა მრევლი დეკემბრის 20 და დაადგინა სამრევლო სამზრუნველოს დაფუძნება. შემდეგი კრება დანიშნეს 27 დეკემბერს, კვირას. ამ დღეს მოაწერენ ხელს განაჩენს წევრთა ამორჩევისას და წარუდგენენ დასამტკიცებლად საქართველოს ეგზარხოსს, ყოვლად უსამღვდელოესს ფლაბიანეს. ტაძრის მნათედ ამოირჩიეს გენერალ-მაიორი ვახტანგ ბეჟანის ძე ბუჭყიაშვილი.

*** ქალაქის მოურავმა 19 დეკემბერს წარუდგინა კავკასიის მთავარ-მართებლის საგანგებო საქმეთა მოხელეს ინჟენერს ნოვომეისკის პროექტი და გეგმა ტფილისში არხების გაყვანის შესახებ. ეს პროექტი და გეგმა შედგენილია ინჟენერის ლინდლეის მიერ.

*** ამას წინად კავკასიის მთავარ-მართებლის განკარგულებით შესდგა განსაკუთრებული კომისია, რომელსაც მიენდო იმის გამორკვევა, თუ როგორ უნდა მოეწყოს ქალაქ ტფილისის ქუჩების მოკირწყვლის საქმე. რადგანაც ქალაქის თვითმმართველობას აზრადა აქვს ამ ახლო მომავალში იჯარით გასცეს ქუჩების მოკირწყვლის საქმე, ამიტომ ქალაქის მოურავმა მიჰმართა ზემოხსენებულ კომისიის თავჯდომარეს, ინჟენერს პ. ე. ბიტულინსკის და სთხოვა,—გვაცნობეთ რა აზრს დაადგა კომისია ამ საგნის შესახებაო.

*** ჩვენს მხატვარს გ. პ. გაბაშვილს აზრადა აქვს შობის პირველ დღეს სამხედრო-საისტორიო მუზეუ-

# ფელეტონი

## „დაგვლოცე დედი“!

(პატარა სურათი)

გატყდა, დაძაბუნდა მარინე, მაინც გულს არ იტეხს, სცდილობს კვლავ თვისი გამოცდილი მზრუნველობა ოჯახს დაატყოს და ერთად-ერთს შვილს, 18 წლის სოფოს, ობლობა არ აგრძნობინოს. შვიდმეტი წელიწადია, რაც მარინე დაქვრივდა. თვით ახალგაზდას ერთის წლის ქალი დარჩა უპატრონოდ უვაქკაცოდ. პირველში თუმცა არა მცირედ შეეტყო მარინეს ოჯახს უვაჟკაცობა, მაგრამ ჯან-ღონით სავსე მარინემ ოჯახი ჯეროვნად დაატრიალა და მტერმოყვარეს გაუწითლებლივ, პირდაპირ გაუსწორა თვალი. ოთხის დღის მიწას თუ ყოველ წლივ ნაოთხალზე აძლევდა სახნავად, სამაგიეროდ დღენახევრის პატარა ვენახს თითონ უვლიდა, თითონ აკეთებდა. ფეხის მოსავალი ყველაზედ ადრეულად მარინეს მოჰყვანდა და ამ მოსავლის შემწეობით ვენახში სამუშაოდ მეშველს მუშებს უსწორდებოდა. პატარა სოფიო დედას გვერდითა ჰყავდა. ვიდრე სოფო წამოიზრდებოდა, ცოტა არ იყოს დედას მუშაობაში უშლიდა. იმისი ლოლიაობა დროს ართმევდა მარინეს. მაგრამ აგერ წამოიზარდა სოფიო და დედის ერთგული ამხანაგი შეიქნა. პატარა სოფო დედას უღელში ამოუდგა. ჯერ, სუსტად და შემდეგ-კი დედასთან თანაბრად გასწია იგი. შვილის მოსწრებამ, დროზედ მოშველებამ ერთი-ორად გაამხნევა მარინე. ბოლოს დროს ვენახში საბარ-სათოხნად მუშებიც-კი აღარ მიიშველა. დედა შვილი მხარი-მხარს ამოუდგებოდნენ ხოლმე და თავის პატარა ვენახს ყველაზედ უწინ კოხტა პატარძალსავით მორთავდნენ! უკვირდათ მეზობლებს, სოფელს,—რა გვარად ახერხებენ დედა-შვილი ყველაზედ უწინ ვენახის მუშაობის გათავებასაო? იმას-კი არავინ ადევნებდა თვალ-ყურს, რომ დედა-შვილნი მუშაობის დროს ალიონის ამოსვლამდე მუშაობით მოქანცულნი ვენახის თავში დადგმულს პატარა ქოხში ისვენებდნენ და გულიანად საუზმეს შეექცეოდნენ! ყველაზე ადრე სამუშაოდ გამოსული დედა-შვილი ყველაზედ გვიან ჰბრუნდებოდნენ სახლში.

ასე ერთგულად ჰმუშაობდნენ, ოჯახს არაფერი ნაკლი არა ჰქონდა, ყველაფერი საკმაო და სამყოფი ჰქონდათ დედა-შვილს. მხოლოდ.... დრომ, ხანმა და დაუღალავმა შრომამ მოჰღალა მარინე. ჩვეულებრივ მუშაობაში ხშირად შესდგებოდა ხოლმე და გულ ჩათუთქული შესცქეროდა თავისს სოფიოს. სოფიო? ჰგრძნობდა დედის დასუსტებას, იმისს მოღლილობას, მაგრამ სცდილობდა დედისათვის არ შეემჩნევინებინა ეს და თავ-აუღებლივ ებრძოდა შავს მიწას. ბოლოს ხომ არა ერთხელ ეუბნებოდა სოფიო დედას.

— დედი, მეც მოვასწრობ შეყელვას! შენ დაისვენე! დედი! გასათოხნი ცოტა ღაა, მეც მოვასწრობ, შენ ნუ წამოხვალ დღეს ვენახში!

— ჯერ ისე არ დავბერებულვარ, შვილო, რომ შენოდენა საქმის გაკეთება არ შემეძლოს. უპასუხებდა მარინე შვილს და პირველი თითონ შეუდგებოდა ხოლმე მუშაობას.

გულს არ იტეხდა მარინე, უფრო-კი მუშაობაში შვილის დაობლება ეძნელებოდა და ძალას ატანდა თავისს თავს. მაგრამ... სად შეეძლო მარინეს ბუნების წეს-რიგის წინააღმდეგ ბრძოლა.. ეხლა მარინე იმისს ფიქრში იყო, რომ თავისის სოფიოსთვის ღირსეული მეუღლე ეშოვნა. მარინეს არა ერთი და ორი სთხოვდა სოფოს, მაგრამ უკანასკნელს დრომდის ყველას უარს ეუბნებოდა! საყვარელი შვილი ადვილად ვერ გაემეტებინა! მერე მარინეს სოფიოსთვის ისეთი მეუღლე უნდოდა, რომ თავისი უკანასკნელი დღენი იმათთან გაეტარებინა, იმათით დამტკბარიყო და იმათს კერაზედ დაელია სული. ერთი რამ-კი უფრო აშინებდა მარინეს? სოფიოს ქმარმა ჩვენი დედაშვილური სიყვარული არ შესცვალოს და ისედაც ჯაფისაგან მისუსტებულს არ მამიშხამოს უკანასკნელი დღენიო.

სთფო? სოფომ ერთი კვირაა, რაც მარტოობა იგრძნო! ერთი კვირაა დედა შეუძლოთა ჰყავს და მარტო ჩამოდის ვენახში სამუშაოდ? წინან-

მში გამართოს თავისის სურათების გამოფენა. მთავარ-მართებელმა უკვე ნება დართო, რომ გაბაშვილს დაეთმოს გამოფენისათვის სამხედრო-საისტორიო მუზეის დარბაზი.

⁂ ბ-ნ ვ. უმიკაშვილს დაუწერია ახალი პიესა, რომელსაც სახელად ეწოდება „ბენეფისის წინ“. შინაარსი არტისტების ცხოვრებიდგან არის აღებული. დრამატიულ საზოგადოების გამგეობას აზრადა აქვს ამ სეზონში წარმოადგინოს ეს პიესა.

⁂ 19 დეკემბერს ხანგრძლივის ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ტფილისში ქალაქის საბჭოს ხმოსანი ალ. ი. შახ აზიზ-კამსარაკანი.

⁂ ტფილისის საგუბერნიო გამგეობის ალმაშენებელ განყოფილებას ვარდაეცა განსახილველად პროექტი და ხარჯთ-აღრიცხვა ზაქათალის ოლქში სოფ. მუღანლოს მახლობლად მდ. ალაზანზედ ხიდის გაკეთების შესახებ.

⁂ ამას წინად ვწერდით, რომ მთავრობას აზრადა აქვს გააფართოვოს ნავთლუხის ნადეჟდას თავ-შესაფართან არსებული მიგდებულ ბავშვთა განყოფილება. კავკასიის მთავარ-მართებლის საბჭომ უკვე განიხილა პროექტი ამის შესახებ და შეიწყნარა კიდეც იგი პროექტი.

⁂ მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ კავკასიის სამკურნალო ნაწილის გამგე ბ-ნი გლოვაცკი თანამდებობას თავს ანებებს. დროებით გამგეს თანამდებობას შეასრულებს გამგეობის წევრი ბ ნი უმისსა.

⁂ ტფილისის ქალაქის გამგეობამ შეადგინა სია ქალაქის საბჭოს კრებებისა მომავალის 1899 წლისათვის. იანვარში კრება მოხდება 11-სა და 25 ს, თებერვალში—8 და 22-ს, მარტში—8 და 22 ს, აპრილში—5 და 26-ს, მაისში—10 და 24-ს, ივნისში-14 და 28-ს, სექტემბერში—6, 20 და 27 ს, ოქტომბერში—4 და 25-ს, ნოემბერში—8, 22 და 29-ს და დეკემბერში—13 და 27 ს.

⁂ ადგილობრივ რუსულ გაზეთებს ატყობინებენ, რომ ფინანსთა სამინისტროსთან არსებულმა სატარიფო კომიტეტმა დაადგინა სამი კაპეიკი დაუკლოს შავის ქვის გადაზიდვის გარდასახადს ამიერ-კავკასიის რკინის გზის ჭიათურის შტოზედაო. სიამოვნებით ვეგებებით ამ ამბავს.

⁂ ყარსიდგან სწერენ „ახ. მიმ.“-ს, რომ ადგილობრივმა ადმინისტრაციამ შუამდგომლობა აღძრა იმის შესახებ, რომ ყარსის ოლქში რაც შეიძლება მეტი სასოფლო სამეურნეო სკოლა იქმნას დაარსებული.

⁂ გაზეთს „კავკას“-ს პეტერბურგიდგან დეპეშით ატყობინებენ, რომ არსდება მეაქციეთა საზოგადოება, რომელსაც აზრად საწერ ქაღალდის საკეთებელ ქარხნის გამართვა აქვს. ამ საზოგადოების დამაარსებელნი არიან: თუმაევი, ადამოვი და აკოფოვები. ძირის თანხად საზოგადოებას ექმნება ნახევარი მილიონი მანეთი. ქარხანას ტფილისში დააარსებენო.

⁂ იმავე გაზეთს დეპეშით ატყობინებენ ერევნიდგან: სამხედრო ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე აბდურახმანის ავაზაკთა დასისა, რომელმაც მოჰკლა ბოქაული მინასტირსკი და სასიკვდილოდ დასჭრა მწერალი ავეტისოვი, და 20 დეკემბერს გამოაცხადა განაჩენი. სასამართლომ სულთან-ალი-ხანს, აბდურახმანის ძმას და მაჰმედ-ჰაჯი დოლიარ-ოღლის ჩამოღრჩობა გარდაუწყვიტა, ხოლო დაიარ-შავეშ მაჰმუდ-მაკსო და უსუბალი-ოღლი გაამართლა, რადგანაც არ დამტკიცდა, რომ მათ მონაწილეობა მიეღოთ ძარცვასა და ავაზაკობაში აბდურახმანის დასთან ერთად.

⁂ თელავიდგან სწერენ „ტფ. ფ.“—ს: აქ ხმა დადის, რომ ახალის წლიდგან ტფილისიდგან თელავში ფოსტა ყოველ დღე ივლის და არა კვირაში ორჯელ, როგორც აქამდის იყოვო.

⁂ ბათუმი. ამას წინად ბათუმის ქალაქის გამგეობამ მოიწვია პეტერბურგიდგან ტეხნიკი ბ-ნი ალ. ი. ჯავახიშვილი სხვა-და-სხვა პროექტების და პირობების გასაშინჯად, რომლებიც წარმოუდგენიათ ამ ხნის განმავლობაში სხვა-და-სხვა ფირმებს, ბათუმის ზოგიერთი ქუჩების და ნავთსადგურის გასანათებლად. ბ ნმა ა. ი. ჯავახიშვილმა აქ ყოფნის დროს გაიცნო თვით ქალაქის ადგილობრივი პირობები და ამასთანავე ყველა ფირმების მიერ წარმოდგენილი პროექტები, რომელთა შორის ქალაქის გამგეობას მოუწონებია ორი, შემდეგის ფირმებისა: Подобѣдова и К° და მეორე „Ольшевича и Кернъ“. ქალაქის მოურავის ბ. ასათიანის თხოვნისამებრ ა. ი. ჯავახიშვილმა შეიმუშავა და შეასწორა ხსენებული პირობები და შემდეგ ისევ პეტერბურგში დაბრუნდა.

⁂ კავკასიის მთავარ მართებელმა 19 დეკემბერს ნება დართო ტფილისის პოლიცმეისტერს, რომ ის ფული, რაც პოლიცმეისტერის კანცელარიისათვის გადადებულ თანხას გადარჩება, დაურიგოს ჯილდოდ პოლიციაში მოსამსახურეთ.

⁂ საოპერეტო დასი, ქ-ნ დაგმაროვის გამგეობით, წარმოდგენების გამართვას თავად-აზნაურთა თეატრში დაიწყობს 26 დეკემბრიდგან.

⁂ ტფილისის გუბერნატორმა შუამდგომლობა აღძრა შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე იმის შესახებ, რომ საბჭითალო დარაჯებისათვის განსაკუთრებული, გულზედ ჩამოსაკიდებელი ნიშანი იქმნას დაწესებულიო.

⁂ გაზეთების სიტყვას, სატყეო დეპარტამენტში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ გადიდებულ იქმნას სატყეო დარაჯთა შტატი ქუთაისისა და შავის ზღვის ნაპირის გუბერნიებში.

⁂ დაიბეჭდა ჟურნალ „მოამბის“ მე XI ნომერი. შინაარსი ამ ნომრისა: „სიხარულმა ელდა იცის“.—ერთ-მოქმედებიანი კომედია, გადმ. ლ—გ.-მიერ, „დამონებულნი“.—რომანი ბოლგართა ცხოვრებიდან, ივ. ვაზოვისა, თარგმანი, „ჯალათი“.—მოთხრობა, ემილია პარდო-ბაზანისა, თარგმანი, „გლეხი-კაცის ისტორია“.—ნაწილი მეოთხე.—ერკმან-შატრიანისა, თარგმანი ი. მაჭავარიანისა, „ვეფხის-ტყაოსნის ყალბი ადგილები“.—LVII, LVIII, LIX და LX, ალ. ს—შვილისა, „სიცოცხლე და მისი კანონი“.— ე. მოსეშვილისა, „აფხაზები“.—(ეტნოგრაფიული მასალები), ნიკო ჯანაშიასი.

⁂ სავაჭრო საბუთის ქაღალდებს ტრაქტირების გახსნის ნება-რთვის შესახებ ამიერიდგან მსურველთ მისცემენ მხოლოდ მაშინ, როდესაც ტრაქტირისათვის განზრახული სადგომი დააკმაყოფილებს ყოველგვარ სანიტარულ მოთხოვნილებას და როდესაც ტრაქტირის გახსნის თანხმობას გამოაცხადებს პოლიცია და საქციზო უწყება.

## წერილი ქართლიდგან.

ჩინებული შემოდგომა გვქონდა და ვისაც გული ერჩოდა რისამე გაკეთებისა, ღიახაც გააკეთებდა. 6-ს დეკემბერს გაგვაბედნიერა ქართლელები თოვლმა და საკმაოდ ჩამოჰყარა.

აგერ რამდენი ხანია, აქეთ გახშირდა ქურდობა-ავაზაკობა, ერთგან დაიძახებენ—ამასა და იმას დაეცნენ თავს და გაძარცვესო, მეორეს ცხენები მოჰპარესო, ამას მარანი თუ სახლი გაუქურდესო, ფულები წაართვესო, საქონელი გაირეკესო და სხვა მრავალი ამისთანა. ამას მიუმატეთ ჩვენი „ლხინიკო უქმაძეების“ საქციელი, ზედ დაურთეთ ქალების მოტაცება, თავ აშვებული ყოფა-ცხოვრება, ყომარბაზობა, სამიკიტნოებში ლოთობა და წარმოგიდგებათ სრული ასლი ჩვენის ბედნიერებისა. მოგახსენებენ, ვითომ ჩვენი ქართლის დედებიც იღებდნენ მონაწილეობას „ლხინიკო უქმაძეთა“ საქციელში. თუმცა დიდად სასაცილოა ეს მოხსენება, მაგრამ მიბძანეთ, ვის შეუკრავთ პირს და ვის ამოაძრობთ დაუყენებელს მაცდურს ენას?!. მეტილა ბედნიერება გვინდა, რომ ჩვენი ქალები, სუსტ არსებად წოდებულნი, ჩარეულან „ლხინიკო უქმაძეთა“ ზოგიერთს სამდევ-გმირო საქმეში და გავაჟკაცებულან? სჩანს, პროგრესის გზას დავდგომივართ, თუ, რასაკვირველია, ქალებს პროგრესად ჩაეთვლებათ მტაცებლობა, ქურდ-ბაცაცობა, აშარტულ-დაშარტული კოხტა ჩაცმა-დახურვა, ჭორ-ჭურები, მუდამ ბანქო-ლოტოს თამაშობ, იწილო-ბიწილოობა და უსაქმურად, უსაგნოდ სიცოცხლის დალევა!.. ეჰ, მკითხველო, რა ეს და რა ათასი ამაზედ უარესი ხელის-ხელ... საგონებელი მარგალიტი... გაიგონოთ ჩვენს დალოცვილს ქართლში!

მოგახსენებენ, რომ ორი მაღალის წოდების გვარი ვითომ თავისს საშვილი-შვილო მთას ჰყიდდეს. რასაკვირველია, რა გვეთქმის იმის მეტი, რომ სჯობს ადამიანმა ადრე და მალე მოიშოროს თავიდგან მძიმე ტვირთი, რომლის ზიდვაც არ შეუძლიან; ანუ, უკეთ რო მოგახსენოთ, ის ნივთი, ის განძი, ის მამული, რომლის მოვლა-მოხმარების შნო და უნარი ღმერთს არ მიუნიჭებია. განძი, რომელიც ჩვენს ხელში საჭირ-ბოროტო გამხდარა, სხვის ხელში ოქროს ხვავებად გარდაიქცევა. მაშ, გამოუსადეგრად რა შესანახია ასეთი განძი? იმაში აღებული ფული-კი, ვინ მოსთვლის, რამდენს სარგებლობას მოგვიტანს. ხომ მოგეხსენებათ, ფული ამოღებული ხმალია და ყოველნაირს გასაჭირს გაარღვევს. მერე ჩვენ, ქართველებმა, არ ვიცით მისი ფლანგვა თუ?! გიხაროდესთ დეპომალაზიების პატრონნო, გიხაროდეთ ხელოსანნო, სასტუმროების პატრონნო, მეეტლენო, სამიკიტნოებო, საზანდრებო, მეზურნე-მეარღნეებო, თეთრ ყირმიზ თვალებიანნო, ლოყა წითელნო, ვინაიდგან ძვირფას მამულიდგან აღებული ფული თქვენს ჯიბეს დაუკრავს თავს! შენ იცი, ჩვენო კურთხეულო და დალოცვილო ტფილისის დედა ქალაქო, როგორც მოემზადები ჩვენის მაღალის წოდების ახალგაზდა ქალ-ყრმათა დასახვედრად! რა უშავსო, იტყვის მკითხველი; ტყე თუ არ იქნება წყვა ხომ იქნებაო?! ამას მიჰყობს ხელს ჩვენი დაბაისელი თავად-აზნაურობაო. ურიგო სანახავი იქნება წივის ზვინები თუ? აღარ იქნება ხე-ტყე, ქვა ტალახი ხო მზად არი? რაკი აღარ იქნება ყავარი, შემოიღებენ ცემენტს, თუნუქს და თუ გაჭირდება საქმე, ტალახით გადაჰლესვენ ბანებს. ათასში ერთხელ თუ წვეთი ჩაუვათ სახლში, რა უყოთ, ეს დიდი უბედურება არ არის, რადგან ქართველი ამისთანებს დიდი ხანია ჩვეულია. ჰაერის დახშობა, წყალთა დაშრეტა, ნიადაგის გამოფიტვა და სხვა მრავა-

---

დებრ ბეჯითადა ჰშრომობს სოფო, სცდილობს გაზაფხულის მუშაობა შეათოს, მაგრამ ის სიმშვიდე, ის კმაყოფილება და სიამოვნება აღარ ეტყობა. გულზედ რაღაც გადაეფარა! მარტოდ, უამხანაგოდ შრომამ საკონებელში ჩააგდო! დედის ავადმყოფობაც ზედ დაერთო და... სოფოს მეზობელ ვენახიდგან რა მხიარული მუშების სიმღერა ისმის! იქ რამდენიმე მუშა სიმღერით ხალისიანადა ჰშრომობს და სოფოს-კი ხმის გამცემი არა ჰყავს!

მეზობელ მუშების სიმღერით წახალისებული სოფოც შეუტევს ხოლმე მუშაობას, მაგრამ როგორც-კი შემოესმის ხოლმე:

„ზოგიერთა პატარძალი
დაირხევა ვერხვივითა,
დედამთილსა ძლიერ უყვარს,
მამამთილსა—ღმერთივითა“-ო,

მკლავი უდუნდება, გული უჩქროლდება, მუხლები ეკეცება და იქვე თავსბრუ-დასხმული ჩაჯდება ხოლმე. იქნება ლექსი, ან სიმღერის კილო ჰმოქმედებს ასე? არა, წკრ ალა ხმა და იმისი პატრონი უხუთავს სულს სოფოს? სოფო იცნობს გიოს, იცნობს ისე, შორიდგან! კარგად არც კი დალაპარაკებია, მაგრამ... ნუ თუ გიომ იცის, რომ სოფო მარტოდ, უამხანაგოდ ჰმუშაობს და იმის ჯიბრით ჰმღერის ასე მოხდენით?!

— მთელი ერთი კვირაა სოფო სცდილობს ყური მოაშოროს მეზობლის ვენახში მუშების სიმღერა-მხიარულობას, თავის საქმეს უბეჯითებს, მაგრამ ლონემ უღალატა... მაცდური სიმღერა წამდაუწუმ შეაწყვეტინებს ხოლმე მუშაობას. აი, ეხლაც ისე გაიტაცა სიმღერამ, რომ, მუშაობა-კი არა, ფეხზედ დგომაც ველარ შესძლო! მაგრამ შესწყვიტეს თუ არა მუშებმა სიმღერა, სოფო გიჟსავით წამოვარდა და გამგელებული ეცა საქმეს... ჰმუშაობს სოფო თავ-აუღებლად და თვის და უნებურად ღიღინებს.

„ბიჭი რო წამოიზრდება,
გული დაუწყებს ძგერასა;
ქალი რო მოეწონება,
შორით დაუწყებს ცქერასა.

—

„ბიჭო შენი სიყვარული
გულზე მაწევს ლოდივითა,
შინ და გარეთ მხარს არ მოგტეხ,
უღელს გავწევ ლომივითა.….

თავისმავე ხმამ სოფო გააწითლა, შერცხვა და ამ სირცხვილმა დასწვა, ჩაფუფქა. ერთი კი მიიხედ-მოიხედა, ხომ არავინ გაიგონა ჩემი ხმაო, თოხი გვერდზედ გადააგდო და სწრაფად გასწია შინისაკენ.

მარინეს შვილის მუშაობიდგან უდროოდ დაბრუნება საშინლად გაუკვირდა და ცოტა არ იყო აშფოთდა, მაგრამ შვილის გაჭარხლებულმა სახემ დედის გამოცდილს გულს ამცნო სოფიოს ყოფა-მდგომარეობა.

— დროა, დრო, თორემ შვილის ცოდვა სიკეთეს არ დამაყრის! წაიბუტბუტა მარინემ და შვილს კი არც სიტყვით, არც სხვა გვარად არ აგრძნობინა, რომ იმისს უდროოდ ვენახიდგან ამოსვლა გაუკვირდა.

—

კვირა დილაა. წირვაზედ სოფომ გიო ნახა! ერთი-კი შეჰხვდა, მაგრამ თვალი მალე მოაშორა! არ უყურებდა, თუმცა ჰგრძნობდა, რომ სახე ეწვოდა და გავარვარებული ჰქონდა. რადა? რად გაწითლდა ასე საშინლად სოფო? თითონაც არ იცოდა... წირვის გამოსვლის უმალ სოფო სახლისკენ გამოეშურა. გზაზედ გიო წამოეწია.

— რას მიეშურები, სოფიო? შეეკითხა გიო. სოფიომ პასუხი არ გასცა და ფეხს უფრო აუჩქარა.

— ქალო, თქვენსა მოვდივარ! გაუმეორა გიომ.

— მობრძანდი!.. უპასუხა სოფომ, არც-კი მიუხედნია გიოსაკენ.

—

მარინე ეზოში დახვდა შვილს და გიოს! სოფიომ შეატყო დედას, რომ რაღაც მხიარულს გუნებაზედ იყო, მაგრამ ხმაც არ გაუცია, პირდაპირ ოთახში შევიდა. გიო მარინეს მიესალმა.

— წავიდეთ შვილო სახლში! უთხრა მარინემ გიოს.

— აქ რა გვიშავს! აქაც გეტყვი, რაც სათქმელი მაქვს.

— შენი ნებაა!

— ძალუა ჩემი გუშინ გეტყოდა, რომ სოფო ძალიან მამწონს! ძალუამ დღეს მითხრა, რომ შენც თანხმა ხარ! მაშ რაღად გავაჭიანუროთ, მეც ერთი მარტოხელა ბიჭი ვარ!

— ძალიან კარგი, შვილო! მეც მეჩქარება ჩემის შვილის ბედნიერება! თქვენ იცით, შვილო, ბებერს დედას რა ნუგეშსა მცემთ და თქვენი ბედნიერებით როგორც დამატკბობთ!

— აბა ეხლა რა გითხრა, დედი! ცოტას ხომ მიცნობთ!

— გიცნობ, რატომ არა, შვილო.

— მაშ სოფოს არა ვკითხოთ?

— ვკითხოთ, შვილო, მაგრამ ვიცი, ის უარს არ იტყვის, რაკი მე მსურს.

— მაინც...

— დაგვლოცე, დედი. უცბად მოისმა სოფოს ხმა და სახე გაღიმული სოფო გიოს გვერდში ამოუდგა.

სოფოს გიოსა და დედის ლაპარაკი ესმოდა, აღარც-კი დაიცადა დაძახება, საიდგანღაც გაუჩნდა გამბედაობა და სიხარულით გიოს გვერდში ამოუდგა. როგორ მოხდა, როგორ გამოვიდა ოთახიდგან, ამას სოფო არც-კი ჰკითხულობდა...

ი. კახელი († იოსებ ცისკარაშვილი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი რა საკითხავია ბჭყრიალა ოქროსთან.—შეიძლება, ზოგიერთებმა გვიპასუხონ: აიშენებენ სახლებსა, დაიმართებიან, ფულს გაუფრთხილდებიან, ტანთ-შეიმოსებიანო, ვალებს გადაიხდიანო და სხვა მრავალი ამისთანა—მართალი ბრძანებაა, მაგრამ ფულის თავ-დაჭერა, გაფრთხილება გვარში ორს თუ შეუძლიან; ამით, ბატონებო, არც არა დღეს უჭირთ-რა. უმრავლესობის შესახებ ზემოთ მოგახსენეთ.

გახლავთ მესამე გვარი კიდევ, რომელსაც მართალია დიდი მთა-ტყე არა აქვს და არცა ჰყიდის, მაგრამ რაც აქვს, ისიც უსასყიდლოდ ეცლება ხელიდგან სამუდამოდ. მიზეზი ამისი გახლავთ ის, რომ ერთ-ურთის ქიშპობით, ჯიბრით, მტრობით, ძლევა მოსილის ქედ-მაღლობით, ადამიანის დამამცირებელ ყოყლოჩინა უვიცობით მიესივნენ ტყეს, მიუსიეს აუარებელი შინაური თუ გარეული ხალხი და ნაცარ-ტუტი აადინეს. აქამდის თუ საწვავი ტყე ეთქმოდა, დღეს ბუწაწკნარები-ღა არის და მიწიდგან ამოღებულის დამპალის კუნძებით ძლივსღა ითბობენ ხელებს. დღეს ამ უკანასკნელით კიდევ იოლად მიდიან, ავად-თუ კარგად, მაგრამ ხვალ?

დიახ, გადაავლებ რა თვალს ყოველ ზემო ჩამოთვლილს, გადაავლებ რა თვალს ჩვენს ყოფა-ცხოვრებას, გული გემღვრევა, ბრაზი მოგდის, თვალებში ცრემლი გაწვება. ან-კი, მართალი რომ ვთქვათ, რითი და როგორ უშველის ვინმე, როდესაც ჩვენს თავს ჩვენვე ვღუპავთ, ჩვენვე ვართ თვით ჩვენის თავის მტერნი. რითი და რისგან მოგვდის ყოველივე ეს? უვიცობისა, უცოდინარობისა და გაუნათლებლობისაგან; შურისა, მტრობისა და ურთიერთის ქიშპობისგან. არა ერთხელ და ორჯელ გვითქვამს და დღესაც ვიმეორებთ, რომ გვეყო, კმარა ამდენი ბავშური იწილო-მიწილოს თამაშობა, სიბეჩავე!—დროა, ავახილოთ თვალი, გამოვიღვიძოთ ღრმა საღათას ძილისაგან, თორემ თუ დღეს საცოდავი და შესაბრალისნი ვართ, ხვალ უარესი მოგვივა. ყველამ კარგად უნდა ვიცოდეთ, რომ ჩვენთვის თავს არავინ გაიცხელებს, თითონ ჩვენ თუ არ ვიზრუნებთ ჩვენის თავისთვის.

ვინც გგონივართ, ის არა ვარ

# რუსეთი

აზრადა აქვთ, მომავალის წლიდგან ინჟენერთა ინსტიტუტში ასწავლონ შემდეგი ახალი საგნებიც: მეტეოროლოგია, რუსეთის გიდროგრაფია, სამკურნალო ცნობები და სხვა.

—„С. О.“-ს სიტყვით, მიწად-მოქმედების სამინისტროში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ დაარსებულ იქმნას რუსეთში დედათა ორი უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი. ამ საგნის განხილვას სამინისტრო მომავალის წლის თებერვალში შეუდგება. უკვე დასახელებულია ის ადგილები, სადაც სასწავლებელნი უნდა იქმნას დაარსებული, სახელდობრ ერთი—ტულსკის გუბერნიაში და მეორე მოსკოვის გუბერნიაში ქ. მოსკოვის მახლობლად. პროექტით იმ ქალებს, რომელთაც დედათა გიმნაზიის 4 კლასს გაუთავებენ, ნება ექმნებათ ამ სასწავლებლის მოსამზადებელ კურსებზედ შესვლისა, ხოლო იმათ, ვისაც გიმნაზიის ყველა კლასები აქვთ დამთავრებული—პირველ კურსზედ.

—სახალხო განათლების სამინისტროს აზრადა აქვს გადასდოს 30 ათასი მანეთი ვლადივოსტოკში განზრახულ აღმოსავლეთ ენათა ინსტიტუტის შესანახად.

—სასულიერო უწყებაში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ მონასტრებსა და სანთლის ქარხნებთან დაარსებულ იქმნას სამხატვრო სკოლები და სახელოსნოები.

# უცხოეთი

**საფრანგეთი.** გაზ. „Новости“-ს ატყობინებენ პარიჟიდგან, რომ საკასაციო პალატის თავმჯდომარეს ხანგრძლივი თათბირი ჰქონდა მინისტრ-პრეზიდენტ დიუპუისთან ეშმაკის კუნძულიდგან დრეიფუსის საფრანგეთში დაბრუნების შესახებ და როგორც იქნა დაიყოლია დრეიფუსი დაბრუნებულ იქნასო.

—როგორც ვიცით, საკასაციო სასამართლომ ჩვენება ჩამოართვა დიუპუის, კაზიმირ პერიეს, ბევრს მინისტრად ნამყოფს და მრავალს წარჩინებულს კაცს. გაზეთების სიტყვით, სასამართლო ეხლა ყველა მოწმეების ჩვენებას გადაათვალიერებს და 1899 წ. 18 იანვრისთვის თავისს განჩინებას დაადგენს დრეიფუსის საქმის შესახებ.

—გაზ. „Soir“-მა ამას წინად ხმა გაავრცელა, რომ საიდუმლო დოსიეში ერთი საბუთის ქაღალდია, რომელიც დრეიფუსის დანაშაულობას თვალ-სახილავად ჰფოფს და ეს ქაღალდი ხელმოწერილია ბრიუსელში საფრანგეთის ელჩად ყოფილის მონტებელოს მიერ. გრაფი მონტებელო ამ ჟამად ბერნში არის ელჩად და იქიდგან გაზ. „Temps“-ში დასაბეჭდად წერილი გამოუგზავნია, რომელშიაც აცხადებს, რომ „Soir“-ის მიერ გავრცელებული ხმა ტყუილიაო.

**გერმანია.** პრუსიის მთავრობის მიერ უცხო სახელმწიფოების ქვეშევრდომთა გაძევების გამო ატეხილი დავა თანდათან იპყრობს საზოგადოებისა და ჟურნალ-გაზეთების ყურადღებას. ზოგიერთ გაზეთის სიტყვით, ასეთის საქციელით პრუსია არა მარტო მეზობელ სახელმწიფოებს გადაიმტერებს, არამედ სამხრეთ გერმანიასაც. აქამდისაც არ უყვარდათ მაინცა და მაინც პრუსია სამხრეთ გერმანელებს და ეხლა იქ უფრო გაძლიერებულა თურმე პრუსიისადმი უკმაყოფილება. ის გაზეთები სამხრეთ გერმანიისა, რომელნიც მომხრენი არ იყვნენ პრუსიის გავლენისა გერმანიაში და ხშირად გაიძახოდნენ, „იმპერია თავს გვაბეზრებსო“, მაგრამ მათს ლაპარაკს დიდს ყურადღებას არავინ აქცევდა, ეხლა, აღნიშნავენ-რა უცხოელთა შევიწროებას პრუსიაში, სიხარულით ფეხზედ აღარ დგანან. მაგრამ მომეტებულ ყურადღების ღირსი ის არის, რომ პრუსიის დრაკონისებურის წესრიგის წინააღმდეგ დღეს იმ გაზეთებმაც აღიმაღლეს ხმა, რომელნიც გერმანიის ერთობისათვის აქამდე თავდადებულნი იყვნენ.

**საფრანგეთი და გერმანია.** გერმანელ გაზ. „Yossische Zeitung“-ში გრძელი წერილია საფრანგეთის და გერმანიის ერთმანეთთან დაახლოვების შესახებ. ეს გაზეთი, როგორცა სჩანს, დიდი მომხრეა ორ მეზობელ სახელმწიფოთ ერთმანეთთან მეგობრობისა, და მრავალნაირი მოსაზრება მოჰყავს მათის ერთმანეთთან მორიგების შესახებ.

ფაშოდის საქმის შემდეგ, ზემოხსენებულის გაზეთის სიტყვით, საფრანგეთს ძალა უნებურად ორში ერთი უნდა აერჩია, ან ინგლისი და ან გერმანია, და საფრანგეთის რამდენიმე გაზეთმა მტკიცებაც დაიწყო, რომ შესაძლებელია გერმანიასთან დაკავშირებაო. ვინც უკანასკნელ 27 წლის საქმეებს დააკვირდება, ყველა გონიერი კაცი იმ დასკვნას გამოიყვანს, რომ გერმანიას საფრანგეთის წინააღმდეგ ცუდი არა უდევს-რა გულში. მეგობრული თანხმობა ამ ორს ძლიერ მეზობელს შორის ორთავესთვის დიდი სასარგებლო იქნება. გერმანიას თავისს მხრივ არა დაუშურებია რა საფრანგეთთან დამოკიდებულობის გასაუმჯობესებლად, და მომავალი გვიჩვენებს, საფრანგეთი როგორ მოიქცევა ამ საქმეშიო.

როგორც გერმანიის ბევრი სხვა გაზეთი, ისე „Yossische Zeitung“-იც იმ აზრისაა, რომ ელზასს ლოტრინგის დაბრუნება სამუდამოდ გულიდგან უნდა ამოიფხვრას საფრანგეთმა და ეს ქვეყნები გერმანიის საკუთრებად უნდა ჩასთვალოს. გაზეთის სიტყვით, გერმანიისა და საფრანგეთის კავშირი უსათუოდ შეუძლებელია და ამიტომ რაც ადრე დაჰკარგავს საფრანგეთი ხსენებულ პროვინციების უკანვე დაბრუნების იმედს, მისთვისვე უფრო კარგია.

# თეატრის მატიანე

„ქორ-ოღლი“, ტრაგედია 4 მოქ., 5. ანტონოვისა.
„ორი ობოლი“, მეხუთე მოქმედება.

კვირას, 20 დეკემბერს, ქართულმა დრამატიულმა საზოგადოებამ, ქ-ნ ნ. გაბუნია-ცაგარლის მონაწილეობით, წარმოადგინა ნამდვილი ხალხური პიესა „ქორ-ოღლი“. ეს პიესა ძალიან უყვარს ჩვენს ხალხს და თუმცა დიდი ხნის დაწერილია, უნდა გამოტეხით ვთქვათ, რომ ქართულ სამგმირო პიესათა შორის იგი ერთად-ერთი ღირსეული პიესაა. სამწუხაროდ, ჩვენმა დასმა, ჩვეულებისამებრ, ვერ მოაწყო იგი შესაფერად. მაგალითებრ, ყაჩაღის ქორ ოღლის ბრბო სულ ხუთის კაცისაგან შესდგებოდა და ეს ყაჩაღები (?) მოკლებულნი იყვნენ ყოველსავე იარაღს. ამას გარდა, უკანასკნელი სცენა, როდესაც დემურჩოღლის თვალები უნდა დასთხარონ და გაატყავონ და იწვევენ მთელის არზრუმის ხალხს მოედანზედ ამ „სეირის“ სანახავად, უფრო ჯაფარ-ფაშის სადარბაზო ოთახს მოგვაგონებდათ. ამ შესანიშნავს ამბავს სულ სამი მაჰმადიანი—არზრუმელი დაესწრო და, როცა ზურნა აჰყივლეს ხალხის მოსაწვევად, ორიც მაშინ მოემატა. ხუთი კაცი და ასეთი ამბავი?!.. ქორ-ოღლი როცა მოდის და დაარევს, მაშინ მისნი ამხანაგნიც უნდა წაეშველნენ, მაგრამ ამ ხელად ესენი არავინ იყვნენ და ისე მოახერხეს, რომ ერთმა ქორ-ოღლიმ და ახლად განთავისუფლებულმა დემურჩოღლიმ თითქმის ერთის თოფის სროლით ოც-და-ხუთამდე კაცი დახოცეს.

რაც შეეხება წარმოდგენას, როლების აღსრულების მხრივ არა უჭირდა-რა. ქ-ნი გაბუნია-ცაგარლისა მშვენიერი ქიჩქინე იყო, უხდებოდა მოლას როლის ასრულება ბ-ნ აბაშიძეს, კარგები იყვნენ ქორ-ოღლი (ბ-ნი სვიმონიძე) და დემურჩოღლი (ბ-ნი შათირიშვილი). სუსტობდა ძალიან ფატმას როლის აღმასრულებელი. იგი რომ სულ არ გამოსულიყო სცენაზედ, უკეთესს იზამდა.

დასასრულ წარმოადგინეს „ორი ობოლი“-ს მეხუთე მოქმედება, რომელშიაც ფროშარის როლს ისე საუცხოოდ ასრულებს ქ-ნი გაბუნია-ცაგარლისა.

წარმოდგენას უფრო მდაბიო, საკვირაო ხალხი დაესწრო.

მ—ძე

# სასამართლოს მატიანე

აზნაურის დ. გაბაშვილის მოკვლის საქმე.

თავ. შიხი ტუსიშვილისა, თავ. ვლადიმერ ბარათაშვილისა, აზნაურის გიორგი ოსიტაშვილისა და ალექსანდრე ტერ-შმოვანოვის საქმე, რომელთაც ჰბრალდებათ აზნაურის დ. გაბაშვილის მოკვლა, დანიშნულია განსახილველად ტფილისის ოლქის სასამართლოში 1899 წლის 3 თებერვალს. მათ შორის გიორგი ოსიტაშვილის დამცველად სასამართლოში იქნება ნაფიცი ვექილი ბ-ნი ოპოჩინინი.

თავ. შალიკაშვილისა და მამაცაშვილის საქმე.

19 დეკემბერს, ტფილისის სამოსამართლო პალატამ განიხილა საქმე თავ. შალიკაშვილის და აზნაურის ივანე მამაცაშვილისა, რომელთაც ჰბრალდებოდათ ჟანდარმის უნტერ ოფიცრის ხავხუნის მოკვლის განზრახვა. გარემოება ამ საქმისა ჩვენს გაზეთში უკვე იყო მოხსენებული, როდესაც ოლქის სასამართლოს განაჩენი დავბეჭდეთ ამ საქმის შესახებ. ოლქის სასამართლომ ეს საქმე გაარჩია გორში 2 ოქტომბერს, თავ. შალიკაშვილი და მამაცაშვილი დამნაშავეებად იცნო და მიუსაჯა უფლებების და უპირატესობის ჩამორთმევა და ტომსკის გუბერნიაში გადასახლება. საქმე გადატანილ იქმნა სამოსამართლო პალატაში ბრალდებულის თანაშემწისა და თვით ბრალდებულთა თხოვნით. სამოსამართლო პალატაში თავ. შალიკაშვილს იცავდა ნაფიცი ვექილი გ. ს. ტერ-სტეფანოვი, ხოლო მამაცაშვილს იცავდნენ ნაფიცი ვექილი როხლინი და ნაფიცის ვექილის თანაშემწე გრუზენბერგი.

სამოსამართლო პალატამ საქმის განხილვის შემდეგ შემდეგი განაჩენი გამოიტანა: ბრალდებულთ თავ. გიორგი შალიკაშვილს და აზნაურს ივანე მამაცაშვილს, რომლებიც დამნაშავედ იქმნენ ცნობილნი, ჩამოერთვათ ყოველივე უფლება და უპირატესობა, ორთავენი გაგზავნილ იქმნენ ტომსკის გუბერნიაში და აკრძალოთ ერთის წლითა და ექვსის თვით იმ ადგილიდგან წასვლა, სადაც დასახლდებიან, ხოლო შემდეგ ხუთის წლით აკრძალოთ ციმბირის სხვა გუბერნიებსა და ოლქებში წასვლა ტომსკის გუბერნიიდგან.

# დამკვირდი

როდესაც გონება შეშფოთებულია, გულიც საგულეში არ არის. თვალი იხედება და კი არა ჰხედავს, ანუ ჰხედავს არა იმას, რასაც უყურებს.

გონჩაროვი

* *

ცეცხლი ჩვენი არის, ხოლო ბერვაჲ მტერისაჲ.

ნიკოლოზ ტფილელი

* *

ცრემლნი ნაკადად მარად ადინენ რამეთუ მრთელი მოიგების ტკივილით.

ანტონ I

# ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

1 დეკემბერს მოხდა კრება პეტერბურგის სამკურნალო საზოგადოების წევრთა. საგანი კრებისა მეტად საყურადღებო იყო: მოხსენება მკურნალის ლოვცკისა ჭლექისაგან განკურნვის შესახებ ახლად გამოგონილის წამლით, რომელსაც სახელად ეწოდება ყავის ფერი მჟავე—ნატრი. მკურნალმა ლოვცკიმ წარუდგინა კრებას ხუთი კაცი, რომლებიც ჭლექისაგან განიკურნენ ზემოხსენებულის წამლით და მოახსენა კიდეც კრებას ამბავი იმათის წამლობისა.

პირველმა ავადმყოფმა წამლობა დაიწყო ამ წლის მარტში. ავადმყოფს ძლიერ ახველებდა, ღამე ოფლი მოსდიოდა, ფეხები უსივდებოდა და კისერზე მუწუკები ჰქონდა, ამასთან სიცხეცა ჰქონდა და ფილტვებიდგან ხრიალი მოისმოდა. მკურნალმა წამლობა დაუწყო ზემოხსენებულის წამლით მარტის ნახევარში. ამ წამალს უშხაპუნებდა ავადმყოფს 3—4 დღეში ერთხელ. ოთხის თვის შემდეგ ფილტვებში ხრიალი სრულებით მოესპო, სიმსივნე დაუცხრა, მუწუკები მოურჩა, ღამე ოფლი აღარ მოსდიოდა, ხველამ თავი დაანება და ავადმყოფმა წონაში 8 გირვანქა მოიმატა, ეხლა კარგად არის და ჰმუშაობს კიდეც.

მეორე ავადმყოფი დედაკაცია. ესეც ისე იყო ავად, როგორც ზემოხსენებული. სუსტად იყო, ძლიერ ახველებდა, თავის ტკივილი აწუხებდა და ღამე ოფლი და სიცხე ჰქონდა. მკურნალებმა გადასწყვიტეს—ჭლექიანია, მორჩენის იმედი არ არისო და კუმისის სმა ურჩიეს. ამ წლის ენკენისთვეში მკურნალმა ლოვცკიმ გასინჯა და ჰნახა, რომ ფილტვები გაფუჭებული ჰქონდა, დიდს სიცხეს აძლევდა და ნახველში მრავალი ბაქტერია იპოვნა ჭლექისა. მკურნალმა იმავე ნატრით დაუწყო წამლობა. ავადმყოფს ფილტვებში ხრიალმა გაუარა, სიცხემ ძლიერ უკლო, წონა მოემატა. ჩლექის ბაცილების რიცხვი ნახველში ძლიერ შემცირდა. ავადყოფი ეხლა გაცილებით უფრო უკედ არის.

მესამე—ახალგაზდა კაცია, ოთხის წლის წინად პლევრიტით იყო ავად. წამლობა დაიწყო ენკენისთვეში. მკურნალმა რომ გასინჯა, ნახველში აუარებელი ბაცილა ჰნახა ჭლექისა და ფილტვების ხრიალი შეატყო. ავადმყოფი ძლიერ იყო დასუსტებული. წამლობის შემდეგ წონაში იმატა და ჯანზე მოვიდა. ეხლა სრულიად კარგადაა, ნახველში აღარც ერთი ბაცილა აღარ არის.

მეოთხე ავადმყოფს ძლიერა ჰქონდა ფილტვები დაავადებული, როდესაც წამლობა დაიწყო. კარგა ხანს წამალი ვერაფერსა ჰშველიდა, მაგრამ ეხლა უკედ არის, ხველამ უკლო, ღამეც ოფლი ნაკლებად მოსდის. ნახველში ჭლექის ბაცილები ნაკლებადა ჰნახეს, მაგრამ რაღაც სხვა ბაცილები გაუჩნდა, რომლებიც ხელს უშლიან მორჩენას.

მეხუთე ავადმყოფიც უწინ ისევე ავად იყო, როგორც ზემოხსენებულნი, მაგრამ ეხლა გაცილებით უკედ არის.

ორს სხვა ავადმყოფსაც სწამლობდა ეს მკურნალი, მაგრამ ერთი მათგანი, ცოტა უკეთობა რომ დაეტყო, მკურნალთან აღარ მისულა, ხოლო მეორეს მორჩენა გვიანღა იყო და რამდენისამე დღის შემდეგ გარდაიცვალა. დასასრულ მკურნალმა ლოვცკიმ ის აზრი წარმოსთქვა, რომ ყავის ფერი-მჟავე ნატრი საუკეთესო წამალია ჭლექისაო და ამიტომ მკურნალებმა ყურადღება უნდა მიაქციონო.

# გამოსადეგი ცნობა

თავბრუსაგან ხშირად მოსვენება არა აქვს კაცსა. თავბრუის დასახოცი წამალი-

კი ადვილი ყოფილა თურმე. აიღეთ წყალ დაუსხმელი კირი და იმოდენავე პურის ფქვილი და ცოტა შაქარიც მიუმატეთ. ყოველ ამისაგან მოზილეთ ცომი და ნაჭერ-ნაჭერ მოარიგეთ იმ ადგილებში, სადა თაგვია. კირი თურმე საშინლად მოაწყურებს, წყალს ასმევს თაგვს, წყლისაგან იშლება, ჰბერავს თაგვს და ჰხეთქავს:

## ახალი წიგნები

რედაქციამ მიიღო „პოემების კრებული:“ გამოცემული მ. ლაღიძის მიერ. წიგნაკში მოთავსებულია პოემები: ილ. ჭავჭავაძისა—„აჩრდილი“, აკაკი წერეთლისა—„მომაკვდავის ჩვენება“ და ვახტანგ ორბელიანისა—„იმედი“. წიგნაკი შეიცავს 48 გვერდსა და ღირს ერთი შაური.

## დეპეშა

20 დეკემბერი.

**პეტერბურგი.** რადგანაც გაზეთი „Русь“-ი ისევ მავნებელ მიმართულებას ადგია, რაიცა გამოიხატა ამ გაზეთში დაბეჭდილის წერილით,—„კულტუროსანი მეერობენი“,—შინაგან საქმეთა მინისტრმა დაადგინა გამოუცხადოს მესამედ გაფრთხილება ამ გაზეთს, რომლის გამომცემელიც არის ტიტულიარნი სოვეტნიკი ვასილი გიდებუროვი და რედაქტორი—ნადვორნი სოვეტნიკი მათე გოლოვინსკი, ამასთან გაზეთის ბეჭდვა შეჩერებულ იქმნას ექვსის თვით.

**ბუდა-პეშტი.** დეპუტატთა პალატა. როდესაც პალატამ დაადგინა გადასდოს კრება 3 იანვრამდე, საერო და დამოუკიდებელმა დასებმა წინაალმდეგობა განაცხადეს იმის გამო, რომ პირველ იანვრიდგან იწყება არა კანონიერი მდგომარეობა. ბანფის ლაპარაკი უნდოდა, მაგრამ საშინელი ყვირილი ატყდა. კრება დახურულ იქმნა.

**პარიჟი.** ბარეპერისა და ბარდის გამოკითხვისა და ფაქტების პირველ განხილვიდგან გამოირკვა, რომ სიტყვები „ჩემო საყვარელო პიკარ“, რომლის წარმოთქმასაც ბარდს აწერდნენ, ამ უკანასკნელს არ წარმოუთქვამს.

**ვენა.** გამოქვეყნებულ იქმნა იმპერატორის ბრძანება, რომელიც სავალდებულოდ ჰყოფს 1899 წელს საზოგადო საიმპერიო ხარჯი ისევე იქმნას განაწილებული იმპერიის ორ ნაწილს შორის, როგორც აქამდის იყო. შემდეგ გამოქვეყნებულ იქმნენ იმპერატორის ბრძანებანი: იმის შესახებ, რომ, 14 პარაგრაფის თანახმად, ძალაში დარჩეს სადამოჟნო და სავაჭრო კავშირი, იმ დამოკიდებულების შესახებ, რომელიც 1899 წლის 30 დეკემბრამდე უნდა ჰქონდეთ იმპერიის ორსავე ნაწილს ავსტრო-უნგრეთის ბანკთან და დროებით ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ.

**შანხაი.** 15 დეკემბერს მეამბოხეთა და საიმპერატორო ჯარებს შორის დიდი ბრძოლა მოხდა, რომელშიაც საიმპერატორო ჯარმა გაიმარჯვა.

21 დეკემბერი

**პეტერბურგი.** უმაღლესად ნაბრძანებია შემცირებულ იქმნას 100 მილიონ მანათი ვალი, რომელიც ხაზინას ჰმართებს სახელმწიფო ბანკისა გამოცემულ ქაღალდის ფულისა და სახელმწიფოს ხაზინიდგან უნდა მიეცეს სახელმწიფო ბანკს 75 მილიონი მანათი.

ხელმწიფე იმპერატორმა უბოძა ვიცე-ადმირალს ასლანბეგოვს ორდენი წმ. ალექ ანდრე ნეველისა.

**კანეა.** ბატონიშვილმა მიიღო ექვსი ბეი და ყველას სათითაოდ დაჰპირდა, ვეცდები, რომ მაჰმადიანთა უფლებანი თანასწორად იყოს დაცულიო.

ადმირალების კომიტეტის თავმჯდომარედ ნამყოფი სფაკიონაკისი ბატონიშვილმა გიორგიმ უკან მოიხმო კანეაში, რათა ჩააბაროს საერო საბჭოს მმართვა.

**პარიჟი.** ელისეს სასახლეში საახალწლო დარბაზობა დამთავრდა პარიჟის გარნიზონის ოფიცრების მიხედვით. ცურლინდენმა სიტყვა წარმოსთქვა და სთქვა, ჯარი ერთგულია კანონისა და სამბაბსიო.


## განცხადებანი

### კაკაბაძე

ქართული წიგნებით ვაჭრობას, მთავრობის ნება-რთვით, ვიწყებ ამ დღიდგან. ამიტომ ვთხოვ ქართულ წიგნების გამომცემლებს თავიანთი გამოცემანი გამოგვიგზავნონ საკომისიოდ გასასყიდად დაკლებით არა ნაკლებ 20%. ადრესი: Владикавказъ, Ивану Семеновичу Месхіеву.

(5—უ.—5)

### ტფილისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს საყოველთაოდ, რომ ყვავილის აცრა და რევაქცინაცია სამკურნალოს სამთავე განყოფილებაში ცენტრალურში—(მუხრანის ქუჩაზე, ტერ-ოსიფოვის სახლში), ავლაბარში (კახეთის ქუჩა, სახლი ტერ-ეროვისა) და ხარფუხისაში (ვორონცოვის ქუჩა, იედიგაროვის სახლი) იქმნება კვირაობითაც დილის 9 საათიდგან 11 საათამდე. (3—ნ.—2)

### იყიდება იაფად და პირიანად

სხვა-და-სხვა საგალანტერეინო საქონელი: ქოლგები, ხელთათმანები, მარაოები, ლენტები, არშიები, ჩულქები, კორსეტები, პირ ბადეები და ქალისა და კაცის სხვა სამკაული

### მკაფი № 21.

თამამშევის ქარვასლაში, ფორაქოვის მაღაზიის პირდაპირ.

ყველა საქონელი კარგის ღირსებისაა.

(20—ნ.—4) ი. ნიკოლაშვილი

## ДАРОМЪ раздаются ПОРТРЕТЫ

*писанные карандашомъ-верескледомъ*

Чтобы распространить въ Россіи свои прелестные портреты, писанные Карандашомъ-Верескледомъ. АРТИСТИЧЕСКОЕ ОБЩЕСТВО ПОРТРЕТОВЪ въ Парижѣ СОВЕРШЕННО БЕЗПЛАТНО напишетъ всякому читателю или подписчику нашей газеты портретъ Карандашомъ-Верескледомъ большой цѣнности. Для того это объявленіе должно быть отрѣзано и прислано вмѣстѣ съ Вашею фотографіею, по которой Вашъ портретъ долженъ быть написанъ, въ опредѣленный 25-дневный срокъ, считая съ настоящаго числа журнала, и ежели лицо предложитъ свою готовность рекомендовать наше Общество между своими родственниками и знакомыми. Просимъ писать четко Вашу фамилію и адресъ на спинкѣ фотографіи и прислать ее черезъ почту подъ слѣдующимъ адресомъ: Mon TANQUEREY, Directeur de la SOCIÉTÉ ARTISTIQUE DE PORTRAITS, 9, rue de St-Pétersbourg. Paris (France) — Парижъ (Франція). — Ваша фотографія будетъ Вамъ возвращена безъ поврежденія вмѣстѣ съ большимъ портретомъ, какъ только послѣдній будетъ готовъ.

(11—მ.—11)

## ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1899 годъ

на ежемѣсячный литературный и научный журналъ

### РУССКОЕ БОГАТСТВО,

издаваемый

**Вл. Г. Короленко и Н. К. Михайловскимъ,**

ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

На годъ съ доставкой и пересылкой . . . . . . . 9 р.
Безъ доставки въ Петербургѣ и Москвѣ . . . . . . 8 р.
За границу . . . . . . . . . . . . . . 12 р.

подписка принимается:

**Въ С. Петербургѣ** въ конторѣ журнала—уг. Спасской и Басковой ул., д. 1—9

**Въ Москвѣ**—въ отдѣленіи конторы—Никитскія ворота, д. Гагарина.

*При непосредственномъ обращеніи въ контору или въ отдѣленіе,* допускается разсрочка:

при подпискѣ . . . 5 р. и къ 1-му іюля . . . 4 р. или при подпискѣ . . . 3 р., къ 1-му апрѣля . . 3 р. и къ 1-му іюля . . 3 р.

Не приславшимъ доплатъ въ означенные сроки высылка журнала прекращается.

**Книжные магазины**, доставляющіе подписку, могутъ удерживать за коммиссію и пересылку денегъ только 40 коп. съ каждаго годового экземпляра.

Подписка въ разсрочку отъ книжныхъ магазиновъ не принимается.

(5—2)


## ანგარიში

ტფილისის სასოფლო სამეურნეო საურთიერთო კრედიტის საზოგადოებისა.

1 დეკემბრისათვის 1898 წლისა.

**აქტივი.**

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| I. კასსა (სახელმწიფო საკრედიტო ბილეთები) . . | 9954 | 82 |
| II. მიმდინარე ანგარიშები: ტფილისის საკომერციო ბანკში . . . . . . . . . . | 4091 | 30 |
| III. „ „ „ა. ფრიდონოვისა და ამხ.“ საბანკო კანტორაში . . . . . . . . . | 31000 | — |
| IV. სარგებლიანი ქაღ., საზოგადოების საკუთვნონი. | 1000 | — |
| V. სარგებლიანი ქაღალდები, სათადარიგო თანხის საკუთვნონი . . . . . . . . . | 2317 | 25 |
| VI. განაღდება თამასუქებისა, რომელზედაც ორს კაცს უწერია ხელი . . . . . . . . . | 201290 | — |
| VII. გირაოთი გაცემული სესხი: | | |
| ა) სახელმწიფოს და მთავრობის მიერ უზრუნველ-ყოფილ. ფას. ქაღალ. . . . . 3044—86 | | |
| ბ) არა-უზრუნველ-ყოფილ ქაღალ. 8699—20 | | |
| გ) საქონელზედ . . . . . . 15255—— | | |
| დ) სასოფლო სამეურნეო ნაწარმ. 3297—55 | 30296 | 62 |
| VIII. დასაბრუნებელი ხარჯი . . . . . . . | 177 | 62 |
| IX. მოწყობა-მომართვა . . . . . . . | 895 | 32 |
| X. გერბის გარდასახადი და თამასუქის ქაღალდი . | 259 | 83 |
| XI. სხვა-და-სხვა დებიტორები . . . . . . | 373 | 68 |
| XII. მიმდინარე ხარჯი . . . . . . . . | 8049 | 35 |
| XIII. პროტესტში წასული თამასუქები . . . . . | 225 | — |
| XIV. გარდასაცემი თანხა . . . . . . . | 200 | — |
| ს უ ლ | 290130 | 79 |

**პასსივი.**

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| I. თანხა, რომელიც შემდგარია საზოგადოების 659 წევრისაგან ნაღდ ფულად შემოტანილ ხვედრ ფულიდგან. . . . . . . . . . | 71126 | — |
| II. სათადარიგო თანხა (შემდგარია 1898 წელს). | 2413 | 88 |
| III. შემოტანილი ფული: | | |
| ა) მიმდინარე ანგარიშით . . . 101126—19 | | |
| ბ) ვადით . . . . . . . . 95530—— | | |
| გ) უვადოდ . . . . . . . . 1800—— | 198456 | 19 |
| IV. გარდასაცემი თანხა . . . . . . . . | 2151 | 70 |
| V. გარდასახდელი სარგებელი . . . . . . | 294 | 80 |
| VI. სახელმწიფო 5%-იანი გარდასახადი თანხათა შემოსავლისა . . . . . . . . . | 38 | 53 |
| VII. მიღებული სარგებელი, გარდახდილს გარდა . | 15009 | 72 |
| VIII. წევრთა მიერ შემოტანილი და უკან არ-მოთხოვნილი საზოგადოების წესდების მე-12 და 13 §§-ის თანახმად . . . . . . . . . | 500 | — |
| IX. მოგებისა და ზარალის ანგარიში . . . . . | 139 | 97 |
| ს უ ლ | 290130 | 79 |
| პასუხის-მგებლობა 659 წევრისა 10%-იან შემოსატანს გარდა . . . . . . . . | 640134 | — |
| საზოგადოებას აქვს გარდაცემული შესანახად ქონება . . . . . . . . . . | 3900 | — |
| თამასუქები საკომისიოდ . . . . . . . | 750 | — |

(1—ნ.—1)

**საზოგადოება იხდის:** მიმდინარე ანგარიშზედ შემოტანილ ფულისას 3%, უვადოდ შემოტანილისას—2%, 6 თვის ვადით შემოტანილისას—4%, წლისა და მეტის ვადით—5½%; **ახდევინებს:** თამასუქის განაღდებით ექვსის თვის ვადამდე გაცემულ ფულისას—9½%, ვადიან ქაღალდებისა, კუპონებისა და სხვათა განაღდებით გაცემულ ფულისას—6%, სესხით გაცემულისას: ა) %-იან ქაღალდზედ 6%. ბ) საქონელსა და სასოფლო ნაწარმოებზედ—9%, თუ საგანცებო მიმდინარე ანგარიშით არის გატანილი და მთავრობის მიერ უზრუნველ-ყოფილის ქაღალდების გირაოზედ—7%, არა-უზრუნველ-ყოფილ ფასიან ქაღალდების გირაოზედ—7½%, თამასუქების გირაოზედ—9½%-ს.

Дозволено цензурою, Тифлисъ 21 го Декабря 1898 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე